



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზურაბიშვილები

ზურაბიშვილები, ფეოდალური საგვარეულო ქართლში. XVII ს. შუა წლებში ქართლის მენინავე სომხით-საბარათიანოს სადროშოს სარდალი გ. ბარათაშვილი გამოეყო სახლიკაცებს და ცალკე სათავადო – საზურაბიშვილო ჩამოაყალიბა. XVIII ს. დასაწყისისათვის გ. 100-მდე კომლს ფლობდნენ. მამულები უმთავრესად დმანისისა და ქციის ხეობაში ჰქონდათ, რეზიდენცია, სასახლითა და ეკლესია-მონასტრით – კაზრეთის ხეობაში. გ-ს ქართლის სამეფო კარზე სუფრაჯის, მორდლის, ბოქაულთუხუცესის თანამდებობანი ეპყრათ. XVIII ს. დასასრულს მათი მამული გააჩანაგა და ააოხრა ლეკთა გამუდმებულმა თარეშმა.

ლიტ.: გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955.

გ. აკოფაშვილი
